ESRS G1
საქმიანი ქცევა

შინაარსი

მიზანი
ურთიერთკავშირი სხვა ESRS სტანდარტებთან
ინფორმაციის გამჟღავნების მოთხოვნები
- ESRS 2 ინფორმაციის გამჟღავნების საერთო მოთხოვნები
  მმართველობა
    - ESRS 2 GOV-1-თან - „ადმინისტრაციული, მართვისა და საზედამხედველო ორგანოების როლი“ - დაკავშირებული გამჟღავნების მოთხოვნა
  ზემოქმედების, რისკების და შესაძლებლობების მართვა
    - ESRS 2 IRO-1-თან - „არსებითი ზემოქმედების, რისკებისა და შესაძლებლობების გამოვლენისა და შეფასების პროცესის აღწერა“ - დაკავშირებული გამჟღავნების მოთხოვნა
    - გამჟღავნების მოთხოვნა G1-1 - საქმიან ქცევასთან დაკავშირებული პოლიტიკები და კორპორაციული კულტურა
    - გამჟღავნების მოთხოვნა G1-2 - მომწოდებლებთან ურთიერთობების მართვა
    - გამჟღავნების მოთხოვნა G1-3 - კორუფციისა და მექრთამეობის პრევენცია და გამოვლენა
  მდგრადობის მაჩვენებლები და სამიზნე მაჩვენებლები
    - გამჟღავნების მოთხოვნა G1-4 - კორუფციის ან მექრთამეობის ინციდენტები
    - გამჟღავნების მოთხოვნა G1-5 – პოლიტიკური გავლენა და ლობისტური საქმიანობები
    - გამჟღავნების მოთხოვნა G1-6 – გადახდების პრაქტიკა

დანართი ა: გამოყენების მოთხოვნები
  ზემოქმედების, რისკების და შესაძლებლობების მართვა
    - გამჟღავნების მოთხოვნა G1-1 - საქმიან ქცევასთან დაკავშირებული პოლიტიკები და კორპორაციული კულტურა
    - გამჟღავნების მოთხოვნა G1-2 - მომწოდებლებთან ურთიერთობების მართვა
    - გამჟღავნების მოთხოვნა G1-3 - კორუფციისა და მექრთამეობის პრევენცია და გამოვლენა
  მდგრადობის მაჩვენებლები და სამიზნე მაჩვენებლები
    - გამჟღავნების მოთხოვნა G1-5 – პოლიტიკური გავლენა და ლობისტური საქმიანობები
    - გამჟღავნების მოთხოვნა G1-6 – გადახდების პრაქტიკა

მიზანი

1. წინამდებარე სტანდარტის მიზანია დეტალურად დაადგინოს ინფორმაციის *გამჟღავნების* ის *მოთხოვნები,* რომელიც საწარმოს ***მდგრადობის ანგარიშგების*** მომხმარებელს მისცემს საშუალებას, ნათელი წარმოდგენა შეიქმნას საქმიანი ქცევის თვალსაზრისით საწარმოს სტრატეგიასა და მიდგომაზე, პროცესებზე, პროცედურებზე და მისი საქმიანობის შედეგებზე.

2. ეს სტანდარტი ორიენტირებულია ქვემოთ მოცემულ საკითხებზე, რომლებიც ამავე სტანდარტში ერთობლივად მოხსენიებულია, როგორც „საქმიანი ქცევა“ ან „საქმიანი ქცევის საკითხები“:

   ა) ბიზნესეთიკა და ***კორპორაციული კულტურა,*** მათ შორის ანტი***კორუფციული*** და ***მექრთამეობის*** საწინააღმდეგო კულტურა, მამხილებელი პირების დაცვა და ცხოველთა კეთილდღეობა;

   გ) ***მომწოდებლებთან*** ურთიერთობის მართვა, მათ შორის გადახდების პრაქტიკა, განსაკუთრებით მცირე და საშუალო საწარმოებისთვის დაგვიანებული გადახდის კუთხით;

   გ) საწარმოს საქმიანობები და ვალდებულებები, რომლებიც უკავშირდება მისი პოლიტიკური გავლენის გამოყენებას, მათ შორის საწარმოს ***ლობისტური საქმიანობები.***

ურთიერთკავშირი სხვა ESRS სტანდარტებთან

3. წინამდებარე სტანდარტის შინაარსი, ინფორმაციის გამჟღავნების საერთო მოთხოვნებთან, ასევე ზემოქმედების, რისკების და შესაძლებლობების მართვასთან და ***მდგრადობისა*** და ***სამიზნე მაჩვენებლებთან*** დაკავშირებით, წაკითხულ უნდა იქნეს, შესაბამისად, ESRS 1 – *„ზოგადი მოთხოვნები“* და ESRS 2 – *„ინფორმაციის გამჟღავნების საერთო მოთხოვნები“* სტანდარტებთან ერთად.

ინფორმაციის გამჟღავნების მოთხოვნები

ESRS 2 ინფორმაციის გამჟღავნების საერთო მოთხოვნები

4. ამ განყოფილების მოთხოვნები საწარმომ უნდა წაიკითხოს მმართველობის (GOV), სტრატეგიის (SBM) და ზემოქმედების, რისკებისა და შესაძლებლობების მართვის (IRO) შესახებ ESRS 2-ით დადგენილ გამჟღავნების მოთხოვნებთან ერთად და ანგარიშგებაში წარმოადგინოს ამავე სტანდარტის შესაბამისად გამჟღავნებული ინფორმაციის გვერდით.

<u>მმართველობა</u>

ESRS 2 GOV-1-თან - „ადმინისტრაციული, მართვისა და საზედამხედველო ორგანოების როლი“ - დაკავშირებული გამჟღავნების მოთხოვნა

5. ***ადმინისტრაციული, მართვისა და საზედამხედველო ორგანოების*** როლის შესახებ ინფორმაციის გამჟღავნებისას, საწარმო უნდა შეეხოს შემდეგ ასპექტებს:

   ა) ***ადმინისტრაციული, მართვისა და საზედამხედველო ორგანოების*** როლი საქმიანი ქცევის თვალსაზრისით;

   ბ) ადმინისტრაციული, მართვისა და საზედამხედველო ორგანოების კომპეტენცია საქმიანი ქცევის საკითხებში.

<u>ზემოქმედების, რისკების და შესაძლებლობების მართვა</u>

ESRS 2 IRO-1-თან - „არსებითი ზემოქმედების, რისკებისა და შესაძლებლობების გამოვლენისა და შეფასების პროცესის აღწერა“ - დაკავშირებული გამჟღავნების მოთხოვნა

6. საქმიანი ქცევის საკითხებთან დაკავშირებით არსებითი ზემოქმედების, რისკებისა და შესაძლებლობების გამოვლენის პროცესის აღწერისას, საწარმომ უნდა გაამჟღავნოს ინფორმაცია პროცესში გამოყენებული ყველა შესაბამისი კრიტერიუმის, მათ შორის მდებარეობის, საქმიანობის, სექტორის, ასევე ტრანზაქციის სტრუქტურის, შესახებ.

გამჟღავნების მოთხოვნა G1-1 - საქმიან ქცევასთან დაკავშირებული პოლიტიკები და კორპორაციული კულტურა

7. **საწარმომ უნდა გაამჟღავნოს ინფორმაცია საქმიანი ქცევის საკითხებთან დაკავშირებით საწარმოში არსებული პოლიტიკების შესახებ, ასევე იმის თაობაზე, თუ როგორ უწყობს ისინი ხელს კორპორაციული კულტურის განვითარებას.**

8. *გამჟღავნების* ამ *მოთხოვნის* მიზანია მდგრადობის ანგარიშგების მომხმარებელს მიეცეს საშუალება ნათელი წარმოდგენა შეიქმნას, იმის შესახებ თუ რამდენად აქვს საწარმოს ისეთი პოლიტიკები, რომლებიც ეხება საქმიანი ქცევის საკითხებთან დაკავშირებული არსებითი ***ზემოქმედების, რისკებისა*** და ***შესაძლებლობების*** გამოვლენას, შეფასებას, მართვას ან/და ***რემედიაციას.*** მისი მიზანია ასევე მომხმარებელს შეუქმნას ნათელი წარმოდგენა ***კორპორაციული კულტურისადმი*** საწარმოს მიდგომებთან დაკავშირებით.

9. მე-7 პუნქტის მოთხოვნის შესაბამისად გამჟღავნებული ინფორმაცია უნდა მოიცავდეს ინფორმაციას იმის შესახებ, თუ როგორ აყალიბებს, ავითარებს, ახალისებს და აფასებს საწარმო საკუთარ ***კორპორაციულ კულტურას.***

10. მე-7 პუნქტის შესაბამისად გამჟღავნებული ინფორმაცია უნდა მოიცავდეს საქმიანი ქცევის საკითხების მიმართულებით საწარმოში არსებულ პოლიტიკებთან დაკავშირებულ შემდეგ ასპექტებს:

ა) იმ მექანიზმების აღწერას, რომელიც საწარმოს აქვს უკანონო ქცევასთან ან ისეთ ქცევასთან დაკავშირებული საკითხების გამოვლენის, მათზე ანგარიშგების და მოკვლევის მიზნით, რომელიც ეწინააღმდეგება მის ქცევის კოდექსს ან მსგავს შიდა წესებს; ასევე ითვალისწინებს თუ არა ის შიდა ან/და გარე ***დაინტერესებული მხარეების*** მხრიდან ანგარიშის მიღებას;

ბ) თუ საწარმოს არ აქვს ***კორუფციის*** ან ***მექრთამეობის*** საწინააღმდეგო პოლიტიკები, რომელიც კორუფციის წინააღმდეგ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის კონვენციას[1] შეესაბამება, მან უნდა დააფიქსიროს ეს ფაქტი და მიუთითოს გეგმავს თუ არა ასეთი პოლიტიკების დანერგვას და დროის რა პერიოდში;

გ) როგორ იცავს საწარმო მამხილებელ პირებს, მათ შორის:

i. დეტალებს, მხილების შიდა არხების შექმნის შესახებ, მათ შორის უზრუნველყოფს თუ არა საწარმო საკუთარ მომუშავეებს შესაბამისი ინფორმაციითა და ***ტრენინგებით,*** ასევე მხილების ანგარიშის მიმღები თანამშრომლების დანიშვნისა და ტრენინგების შესახებ; და

ii. ევროპარლამენტისა და საბჭოს (EU) 2019/1937 დირექტივის[2] შესაბამისად მომზადებული კანონით გათვალისწინებულ ზომებს, რომელიც მამხილებელ მომუშავეების რეპრესიებისგან იცავს.

დ) თუ საწარმოს არ აქვს მამხილებელი პირების დაცვის პოლიტიკები[3], მან უნდა დააფიქსიროს ეს ფაქტი და მიუთითოს გეგმავს თუ არა ასეთი პოლიტიკების დანერგვას და დროის რა პერიოდში;

ე) მამხილებელი პირებისგან მიღებული ანგარიშების შემდგომი განხილვის იმ პროცედურების გარდა, რომელიც შესაბამისობაშია ევროპარლამენტისა და საბჭოს (EU) 2019/1937 დირექტივის შესაბამისად მომზადებულ კანონთან, აქვს თუ არა საწარმოს საქმიან ქცევასთან დაკავშირებული ***ინციდენტების*** (მათ შორის ***კორუფციისა*** და ***მექრთამეობის*** ინციდენტების) მოკვლევის პროცედურები, რომელიც წარიმართება დაუყოვნებლივ, დამოუკიდებლად და ობიექტურად;

---

[1] ეს ინფორმაცია ავსებს საფინანსო ბაზრის იმ მონაწილეთა საინფორმაციო საჭიროებებს, რომლებიც ექვემდებარებიან (EU) 2019/2088 რეგულაციას, ვინაიდან იგი მომდინარეობს ძირითად უარყოფით ზემოქმედებასთან დაკავშირებული დამატებითი ინდიკატორიდან, რომელიც დადგენილია მდგრადი ინვესტიციების შესახებ ინფორმაციის გამჟღავნების წესებთან დაკავშირებით (EU) 2022/1288 კომისიის დელეგირებული რეგულაციის (Commission Delegated Regulation (EU) 2022/1288) I დანართის III ცხრილში მოცემული #15 ინდიკატორით ("კორუფციისა და მექრთამეობის საწინააღმდეგო პოლიტიკების არარსებობა" - "Lack of anti-corruption and anti-bribery policies").

[2] ევროპარლამენტისა და საბჭოს 2019 წლის 23 ოქტომბრის (EU) 2019/1937 დირექტივა იმ პირთა შესახებ, რომლებიც ევროკავშირის კანონის დარღვევას აფიქსირებენ - Directive (EU) 2019/1937 of the European Parliament and of the Council of 23 October 2019 on the protection of persons who report breaches of Union law (OJ L 305, 26.11.2019, p. 17).

[3] ეს ინფორმაცია ავსებს საფინანსო ბაზრის იმ მონაწილეთა საინფორმაციო საჭიროებებს, რომლებიც ექვემდებარებიან (EU) 2019/2088 რეგულაციას, ვინაიდან იგი მომდინარეობს ძირითად უარყოფით ზემოქმედებასთან დაკავშირებული დამატებითი ინდიკატორიდან, რომელიც დადგენილია მდგრადი ინვესტიციების შესახებ ინფორმაციის გამჟღავნების წესებთან დაკავშირებით (EU) 2022/1288 კომისიის დელეგირებული რეგულაციის (Commission Delegated Regulation (EU) 2022/1288) I დანართის III ცხრილში მოცემული #6 ინდიკატორით ("მამხილებელი პირების არასაკმარისი დაცვა" - "Insufficient whistleblower protection").

ვ) როდესაც ეს შესაფერისია, აქვს თუ არა საწარმოს ცხოველთა კეთილდღეობასთან დაკავშირებული პოლიტიკები;

ზ) საწარმოს ***პოლიტიკას*** საქმიან ქცევასთან დაკავშირებით ორგანიზაციის შიგნით არსებული ***ტრენინგების*** მიმართულებით, მათ შორის მისი სამიზნე აუდიტორია, სიხშირე და შინაარსი;

თ) საწარმოში არსებულ ფუნქციებს, რომლებიც ყველაზე მეტად იმყოფებიან ***კორუფციისა*** და ***მექრთამეობის*** რისკის ქვეშ.

11. საწარმოებს, რომლებიც ექვემდებარებიან მამხილებელი პირების დაცვის შესახებ (EU) 2019/1937 დირექტივის შესაბამისად მომზადებული ეროვნული კანონის მოთხოვნებს ან ეკვივალენტურ საკანონმდებლო მოთხოვნებს, 10(დ) პუნქტის მოთხოვნის დაკმაყოფილების მიზნით შეუძლიათ მიუთითონ, რომ ისინი აღნიშნული საკანონმდებლო მოთხოვნების ფარგლებში მოქმედებენ.

გამჟღავნების მოთხოვნა G1-2 - მომწოდებლებთან ურთიერთობების მართვა

12. საწარმომ უნდა წარმოადგინოს ინფორმაცია საკუთარ მომწოდებლებთან ურთიერთობების მართვისა და მიწოდების ჯაჭვზე საწარმოს ზემოქმედების შესახებ.

13. *გამჟღავნების* ამ *მოთხოვნის* მიზანია მდგრადობის ანგარიშგების მომხმარებელს მიეცეს საშუალება ნათელი წარმოდგენა შეიქმნას საწარმოს მიერ შესყიდვების პროცესის მართვის, მათ შორის ***მომწოდებლების*** მიმართ სამართლიანი დამოკიდებულების, შესახებ.

14. საწარმომ უნდა აღწეროს დაგვიანებული გადახდის (განსაკუთრებით მცირე და საშუალო საწარმოების მიმართ) თავიდან ასაცილებლად საწარმოში არსებული ***პოლიტიკა.***

15. მე-12 პუნქტის მოთხოვნის შესაბამისად გამჟღავნებული ინფორმაცია უნდა მოიცავდეს შემდეგს:

ა) საწარმოს მიდგომას ***მომწოდებლებთან*** ურთიერთობისადმი, ***მიწოდების ჯაჭვთან*** დაკავშირებით საწარმოს წინაშე არსებული რისკებისა და ***მდგრადობის საკითხებზე*** მისი ***ზემოქმედების*** გათვალისწინებით; და

ბ) მომწოდებლების შერჩევისას ითვალისწინებს თუ არა საწარმო სოციალურ და გარემოსდაცვით კრიტერიუმებს და როგორ აკეთებს ამას.

16. **საწარმომ უნდა წარმოადგინოს ინფორმაცია კორუფციასა და მექრთამეობასთან დაკავშირებული განცხადებების ან ინციდენტების პრევენციისა და გამოვლენის, მოკვლევის და მათზე რეაგირების მიმართულებით საწარმოში არსებული სისტემის შესახებ, მათ შორის შესაბამისი ტრენინგების თაობაზე.**

17. *გამჟღავნების* ამ *მოთხოვნის* მიზანია ***კორუფციისა*** და ***მექრთამეობის*** პრევენციის, გამოვლენის და მათ შესახებ განცხადებებზე რეაგირების თვალსაზრისით საწარმოს ძირითადი პროცედურების გამჭვირვალობის უზრუნველყოფა. ეს მოიცავს საწარმოს მომუშავეებისთვის ჩატარებულ ტრენინგს ან/და საწარმოს შიგნით ან ***მომწოდებლებისთვის*** ინფორმაციის მიწოდებას.

18. მე-16 პუნქტის მოთხოვნის შესაბამისად გამჟღავნებული ინფორმაცია უნდა მოიცავდეს შემდეგს:

    ა) ***კორუფციისა*** და ***მექრთამეობის ინციდენტების*** პრევენციის, გამოვლენის და მათ შესახებ განცხადებებზე რეაგირების პროცედურების აღწერას;

    გ) მოკვლევის კომიტეტი ან მოკვლევის განმახორციელებელი პირები არიან თუ არა განცალკევებულნი ამ საკითხში ჩართული ხელმძღვანელობის ჯაჭვისგან; და

    გ) ***ადმინისტრაციული, მართვის და საზედამხედველო ორგანოებისთვის*** შედეგების შესახებ ანგარიშის წარდგენის პროცესს, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

19. თუ საწარმოს არ აქვს ასეთი პროცედურები, მან უნდა გაამჟღავნოს ეს ფაქტი და, შესაბამის შემთხვევაში, ინფორმაცია მათ დანერგვასთან დაკავშირებული გეგმების შესახებ.

20. მე-16 პუნქტის მოთხოვნის შესაბამისად გამჟღავნებული ინფორმაცია უნდა მოიცავდეს ინფორმაციას იმის შესახებ, თუ როგორ აწვდის საწარმო შესაბამის პირებს პოლიტიკების შესახებ ინფორმაციას, რათა უზრუნველყოფილ იქნეს ***პოლიტიკის*** ხელმისაწვდომობა და შესაბამისი პირების მიერ მისი სრულყოფილად გაგება.

21. ტრენინგთან დაკავშირებით მე-16 პუნქტის მოთხოვნის შესაბამისად გამჟღავნებული ინფორმაცია უნდა მოიცავდეს შემდეგს:

    ა) ანტი***კორუფციული*** და ***მექრთამეობის*** საწინააღმდეგო იმ სატრენინგო პროგრამების ხასიათი, მასშტაბი და სიღრმისეული შინაარსი, რომელსაც საწარმო სთავაზობს ან მოითხოვს;

    გ) რისკის ქვეშ მყოფი იმ ფუნქციების პროცენტული წილი, რომელსაც სატრენინგო პროგრამა შეეხება;

    გ) რამდენად ეხება ტრენინგი ადმინისტრაციული, მართვის და საზედამხედველო ორგანოების წევრებს.

<u>მდგრადობის მაჩვენებლები და სამიზნე მაჩვენებლები</u>

გამჟღავნების მოთხოვნა G1-4 - კორუფციის ან მექრთამეობის ინციდენტები

22. საწარმომ უნდა წარმოადგინოს ინფორმაცია კორუფციისა და მექრთამეობის იმ ინციდენტების შესახებ, რომლებიც საანგარიშგებო პერიოდში მოხდა.

23. *გამჟღავნების* ამ *მოთხოვნის* მიზანია უზრუნველყოს საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში მომხდარი ***კორუფციისა*** და ***მექრთამეობის*** ინციდენტების და მათთან დაკავშირებული შედეგების გამჭვირვალობა.

24. საწარმომ უნდა გაამჟღავნოს:

ა) ანტიკორუფციული და მექრთამეობის საწინააღმდეგო კანონების დარღვევისთვის მსჯავრდადებულთა რაოდენობა და ჯარიმების ოდენობა[4]; და

ბ) ნებისმიერი ქმედება, რომელიც ანტიკორუფციული და მექრთამეობის საწინააღმდეგო პროცედურებისა და სტანდარტების დარღვევაზე რეაგირების მიზნით განხორციელდა[5].

25. საწარმოს შეუძლია გაამჟღავნოს:

ა) კორუფციის ან მექრთამეობის ***დადასტურებული ინციდენტების*** ხასიათი და საერთო რაოდენობა;

ბ) ისეთი ***დადასტურებული ინციდენტების*** რაოდენობა, როდესაც კორუფციასთან ან მექრთამეობასთან დაკავშირებული ინციდენტების გამო საწარმოს საკუთარი მომუშავეები გაათავისუფლეს ან მათ მიმართ გაატარეს დისციპლინარული ზომები;

გ) ისეთი ***დადასტურებული ინციდენტების*** რაოდენობა, რომელიც უკავშირდება ბიზნესპარტნიორებთან დადებულ ისეთ ხელშეკრულებებს, რომლებიც შეწყდა ან არ

---

[4] ეს ინფორმაცია ავსებს: საფინანსო ბაზრის იმ მონაწილეთა საინფორმაციო საჭიროებებს, რომლებიც ექვემდებარებიან (EU) 2019/2088 რეგულაციას, ვინაიდან იგი მომდინარეობს ძირითად უარყოფით ზემოქმედებასთან დაკავშირებული დამატებითი ინდიკატორიდან, რომელიც დადგენილია მდგრადი ინვესტიციების შესახებ ინფორმაციის გამჟღავნების წესებთან დაკავშირებით (EU) 2022/1288 კომისიის დელეგირებული რეგულაციის (Commission Delegated Regulation (EU) 2022/1288) I დანართის III ცხრილში მოცემული #17 ინდიკატორით ("ანტიკორუფციული და მექრთამეობის საწინააღმდეგო კანონების დარღვევისთვის მსჯავრდადებულთა რაოდენობა და ჯარიმების ოდენობა" - "Number of convictions and amount of fines for violation of anti-corruption and anti-bribery laws"); ასევე „ბენჩმარკის" ადმინისტრატორების საინფორმაციო საჭიროებებს გარემოსდაცვითი, სოციალური და მმართველობითი (ESG) ფაქტორების გამჟღავნების საკითხში, რომელიც ექვემდებარება (EU) 2020/1816 რეგულაციას, როგორც ეს დადგენილია II დანართის 1-ელ და მე-2 განყოფილებებში მოცემული ინდიკატორით „ანტიკორუფციული და მექრთამეობის საწინააღმდეგო კანონების დარღვევისთვის მსჯავრდადებულთა რაოდენობა და ჯარიმების ოდენობა" ("Numbers of convictions and amount of fines for violations of anti-corruption and anti-bribery laws").

[5] ეს ინფორმაცია ავსებს საფინანსო ბაზრის იმ მონაწილეთა საინფორმაციო საჭიროებებს, რომლებიც ექვემდებარებიან (EU) 2019/2088 რეგულაციას, ვინაიდან იგი მომდინარეობს ძირითად უარყოფით ზემოქმედებასთან დაკავშირებული დამატებითი ინდიკატორიდან, რომელიც დადგენილია მდგრადი ინვესტიციების შესახებ ინფორმაციის გამჟღავნების წესებთან დაკავშირებით (EU) 2022/1288 კომისიის დელეგირებული რეგულაციის (Commission Delegated Regulation (EU) 2022/1288) I დანართის III ცხრილში მოცემული #16 ინდიკატორით ("ანტიკორუფციული და მექრთამეობის საწინააღმდეგო სტანდარტების დარღვევაზე რეაგირების მიზნით განხორციელებული არასაკმარისი ქმედებების შემთხვევები" - "Cases of insufficient action taken to address breaches of standards of anti-corruption and anti-bribery");

განახლდა კორუფციასთან ან მექრთამეობასთან დაკავშირებული დარღვევების გამო; და

დ) საანგარიშგებო პერიოდში საწარმოსა და მისი საკუთარი მომუშავეების წინააღმდეგ ***კორუფციასთან*** ან ***მექრთამეობასთან*** დაკავშირებით აღძრული საჯარო სამართლებრივი საქმეების დეტალები და ასეთი საქმეების შედეგები. ეს მოიცავს იმ საქმეებსაც, რომლებიც აღიძრა წინა წლებში, თუმცა შედეგი მხოლოდ მიმდინარე საანგარიშგებო პერიოდში დადგა.

26. მოთხოვნების შესაბამისად გამჟღავნებული ინფორმაცია მხოლოდ მაშინ უნდა მოიცავდეს ინფორმაციას ისეთი ***ინციდენტების*** შესახებ, რომლებშიც საწარმოს ***ღირებულებათა ჯაჭვის*** მონაწილეები არიან ჩართულნი, როდესაც საწარმო ან მისი ***დასაქმებულები*** მასში პირდაპირ მონაწილეობენ.

გამჟღავნების მოთხოვნა G1-5 – პოლიტიკური გავლენა და ლობისტური საქმიანობები

27. საწარმომ უნდა წარმოადგინოს ინფორმაცია მისი პოლიტიკური გავლენის გამოყენებასთან დაკავშირებული საქმიანობებისა და ვალდებულებების შესახებ, მათ შორის ინფორმაცია ლობისტური საქმიანობების შესახებ, რომელიც უკავშირდება საწარმოს არსებით ზემოქმედებას, რისკებსა და შესაძლებლობებს.

28. *გამჟღავნების* ამ *მოთხოვნის* მიზანია უზრუნველყოს იმ საქმიანობებისა და ვალდებულებების გამჭვირვალობა, რომელიც უკავშირდება საწარმოს მიერ პოლიტიკური გავლენის გამოყენებას მისი პოლიტიკური შეწირულობით, საწარმოს ***ლობისტური საქმიანობების*** ტიპებისა და მიზნის ჩათვლით.

29. 27-ე პუნქტის მოთხოვნის შესაბამისად გამჟღავნებული ინფორმაცია უნდა მოიცავდეს შემდეგი სახის ინფორმაციას:

ა) თუ ეს შესაფერისია, ამ საქმიანობების ზედამხედველობაზე პასუხისმგებელი ***ადმინისტრაციული, მართვის და საზედამხედველო ორგანოების*** წარმომადგენლ(ებ)ი;

გ) ფინანსურ ან არაფულადი სახით გაღებულ პოლიტიკურ შეწირულობებთან მიმართებით:

i. ფინანსური ან არაფულადი სახით გაღებული იმ პოლიტიკური შეწირულობის ჯამური ფულადი ღირებულება, რომელიც საწარმომ გასცა პირდაპირ ან ირიბად. საწარმომ ეს ინფორმაცია უნდა წარმოადგინოს აგრეგირებული სახით, როდესაც ეს შესაფერისია, ქვეყნების ან გეოგრაფიული ტერიტორიების მიხედვით, ასევე მიმღების/ბენეფიციარის ტიპების მიხედვით; და

ii. როდესაც ეს შესაფერისია, როგორ მოხდა არაფულადი სახით გაღებული შეწირულობის ფულადი ღირებულების შეფასება.

გ) საწარმოს ***ლობისტური საქმიანობების*** ძირითადი თემები და მათთან დაკავშირებით საწარმოს ძირითადი პოზიციები, მოკლედ. აქ, საწარმომ უნდა ახსნას როგორ ურთიერთქმედებს ეს ESRS 2-ის შესაბამისად გაკეთებული ***არსებითობის*** შეფასების შედეგად გამოვლენილ საწარმოს არსებით ზემოქმედებასთან, რისკებსა და შესაძლებლობებთან; და

დ) თუ საწარმო რეგისტრირებულია ევროკავშირის გამჭვირვალობის რეესტრში (EU Transparency Register) ან ევროკავშირის რომელიმე წევრი ქვეყნის შესაბამის გამჭვირვალობის რეესტრში, ასეთი რეესტრის სახელი და ამ რეესტრში საწარმოს საიდენტიფიკაციო ნომერი.

30. გამჟღავნებული ინფორმაცია ასევე უნდა მოიცავდეს ინფორმაციას ***ადმინისტრაციულ, მართვისა და საზედამხედველო ორგანოებში*** ნებისმიერი ისეთი წევრის დანიშვნის შესახებ, რომელსაც ეკავა მსგავსი პოზიცია საჯარო სამსახურში (მათ შორის, მარეგულირებელ ორგანოებში) მისი დანიშვნისას მიმდინარე საანგარიშგებო პერიოდამდე წინა 2 წლის განმავლობაში.

გამჟღავნების მოთხოვნა G1-6 – გადახდების პრაქტიკა

31. საწარმომ უნდა წარმოადგინოს ინფორმაცია მისი გადახდის პრაქტიკის შესახებ, განსაკუთრებით მცირე და საშუალო საწარმოების მიმართ დაგვიანებული გადახდების თვალსაზრისით.

32. *გამჟღავნების* ამ *მოთხოვნის* მიზანია წარმოადგინოს ნათელი და სიღრმისეული ცოდნის მომცემი ინფორმაცია სახელშეკრულებო გადახდის პირობებზე და საწარმოს მიერ გადახდების განხორციელებასთან დაკავშირებით, განსაკუთრებით როგორ ზემოქმედებს ეს მცირე და საშუალო საწარმოებზე, კონკრეტულად კი მცირე და საშუალო საწარმოების მიმართ დაგვიანებული გადახდების თვალსაზრისით.

33. 31-ე პუნქტის მოთხოვნის შესაბამისად გამჟღავნებული ინფორმაცია უნდა მოიცავდეს:

ა) საშუალო დროს (დღეების რაოდენობა), რომელიც საწარმოს სჭირდება ინვოისის გადასახდელად სახელშეკრულებო ან კანონით დადგენილი გადახდის ვადის ათვლის დღიდან;

ბ) საწარმოს სტანდარტული გადახდის პირობების აღწერას (დღეების რაოდენობა) ***მომწოდებლების*** ძირითადი კატეგორიების მიხედვით და ამ სტანდარტული პირობების შესაბამისად განხორციელებული გადახდების პროცენტული წილი;

გ) დაგვიანებული გადახდების გამო მიმდინარე სასამართლო პროცესების რაოდენობა; და

დ) დამატებითი ინფორმაცია, რომელიც აუცილებელია საკმარისი კონტექსტის წარმოდგენის მიზნით. თუ საწარმომ (ა) პუნქტით განსაზღვრული ინფორმაციის გამოსათვლელად რეპრეზენტაციული შერჩევის მეთოდი გამოიყენა, მან უნდა მიუთითოს ეს ფაქტი და მოკლედ აღწეროს გამოყენებული მეთოდოლოგია.

დანართი ა: გამოყენების მოთხოვნები

ეს დანართი ESRS G1-ის - „*საქმიანი ქცევა*“ - განუყოფელი ნაწილია. იგი ხელს უწყობს ამ სტანდარტით გათვალისწინებული გამჟღავნების მოთხოვნების გამოყენებას და ისეთივე ძალა აქვს, რაც ამ სტანდარტის დანარჩენ ნაწილებს.

ზემოქმედების, რისკების და შესაძლებლობების მართვა

გამჟღავნების მოთხოვნა G1-1 - საქმიან ქცევასთან დაკავშირებული პოლიტიკები და კორპორაციული კულტურა

გმ 1. მე-7 პუნქტის შესაბამისად გასამჟღავნებელი ინფორმაციის განსაზღვრისას, საწარმოს შეუძლია გაითვალისწინოს შემდეგი ასპექტები:

ა) ***კორპორაციული კულტურის*** ასპექტები, რომლებიც გათვალისწინებულ და განხილულ იქნა ***ადმინისტრაციული, მართვისა და საზედამხედველო ორგანოების*** მიერ და რა სიხშირით გაკეთდა ეს;

ბ) ძირითადი თემები, რომლებიც წახალისდა და რომლის შესახებაც მოხდა ინფორმირება, როგორც კორპორაციული კულტურის ნაწილისა;

გ) როგორ აძლევენ საწარმოს ადმინისტრაციული, მართვის და საზედამხედველო ორგანოების წევრები მიმართულებას კორპორაციული კულტურის წახალისებას; და

დ) კონკრეტული სტიმულები ან ინსტრუმენტები საკუთარი მომუშავეებისთვის, რითაც ხდება კორპორაციული კულტურის ხელშეწყობა და წახალისება.

გამჟღავნების მოთხოვნა G1-2 - მომწოდებლებთან ურთიერთობების მართვა

გმ 2. ამ სტანდარტის მიზნებისთვის, საწარმოს ***მომწოდებლებთან*** ურთიერთობების მართვა შეიძლება მოიცავდეს შემდეგს:

ა) როგორ ეხმარება საწარმოში არსებული პრაქტიკა (მათ შორის ***მიწოდების ჯაჭვზე*** შეფერხებების ზემოქმედების თავიდან აცილების ან მინიმუმამდე დაყვანის მიზნით განხორციელებულ საქმიანობები) საწარმოს სტრატეგიისა და რისკის მართვის საკითხებში;

ბ) შესყიდვების/მიწოდების ჯაჭვის მიმართულებით საწარმოში მომუშავე სამუშაო ძალის გადამზადებას ***მომწოდებლებთან*** ჩართულობისა და დიალოგის მიმართულებით, ასევე შესყიდვების მიმართულებით საწარმოში მომუშავე სამუშაო ძალისთვის განსაზღვრულ სტიმულებს, მათ შორის, დაკავშირებულია თუ არა ეს სტიმულები ფასთან, ხარისხთან ან მდგრადობის ფაქტორებთან;

გ) მომწოდებლების სოციალური და გარემოსდაცვითი საქმიანობის შედეგების შემოწმებას და შეფასებას;

დ) საწარმოს მიწოდების ჯაჭვში ადგილობრივი ან/და სერტიფიცირებული მომწოდებლების მონაწილეობას;

ე) როგორ მოქმედებს საწარმოს პრაქტიკა მნიშვნელოვანი რისკების წინაშე მყოფ მომწოდებლებზე;

ვ) მომწოდებლებთან კომუნიკაციის და ურთიერთობების მართვის თვალსაზრისით საწარმოს ***სამიზნე მაჩვენებლებს*** და ***ქმედებებს;*** და

ზ) როგორ ფასდება ამ პრაქტიკის შედეგები, მომწოდებლებთან ვიზიტების, აუდიტის ან გამოკითხვების ჩათვლით.

გმ 3. „მნიშვნელოვანი რისკების წინაშე მყოფი მომწოდებლები“ არიან ის ***მომწოდებლები,*** რომლებიც ექვემდებარებიან მნიშვნელოვან ეკონომიკურ, გარემოსდაცვით ან/და სოციალურ რისკებს.

გამჟღავნების მოთხოვნა G1-3 - კორუფციისა და მექრთამეობის პრევენცია და გამოვლენა

გმ 4. „რისკის ქვეშ მყოფ ფუნქციებში“ მოიაზრება ის ფუნქციები, რომლებიც მიჩნეულია, რომ მათი ამოცანებიდან და პასუხისმგებლობებიდან გამომდინარე ***კორუფციის*** და ***მექრთამეობის*** რისკის ქვეშ იმყოფება.

გმ 5. გამჟღავნებული ინფორმაცია შეიძლება მოიცავდეს საწარმოს მიერ ***კორუფციის*** და ***მექრთამეობის*** გამოვლენის მიზნით განხორციელებული მონიტორინგის პროგრამების ან/და შიდა კონტროლის პროცედურების და რისკის შეფასების ან/და მათი სქემატურად ასახვის დეტალებს.

გმ 6. ***კორუფციისა*** და ***მექრთამეობის*** მიმართულებით საწარმოს პოლიტიკა შეიძლება შეესაბამებოდეს ადამიანთა კონკრეტულ ჯგუფებს, რადგან მათ ევალებათ ამ პოლიტიკების დანერგვა (მაგალითად, საწარმოს ***დასაქმებულები,*** კონტრაქტორები და ***მომწოდებლები***) ან მათ აქვთ ამ პოლიტიკების დანერგვის პირდაპირი ინტერესი (მაგალითად, ***ღირებულებათა ჯაჭვის*** მომუშავეები, ინვესტორები). საწარმოს შეუძლია გაამჟღავნოს ინფორმაცია იმ საკომუნიკაციო ინსტრუმენტებისა და არხების (მაგალითად, ფლაერები, საინფორმაციო ბიულეტენები, შესაბამისი ვებგვერდები, სოციალური მედია, პირისპირ კომუნიკაცია, პროფესიული კავშირები ან/და მომუშავეთა წარმომადგენლები) შესახებ, რომლებსაც ასეთ ჯგუფებთან კომუნიკაციისთვის იყენებს. ეს შეიძლება ასევე მოიცავდეს ინფორმაციის გავრცელების პოტენციური ბარიერების იდენტიფიცირებას ან/და დარღვევას, მაგალითად, შესაბამის ენებზე თარგმნის ან გრაფიკული გამოსახულებების გამოყენების საშუალებით.

გმ 7. საწარმოს შეუძლია გაამჟღავნოს ინფორმაცია მისი სატრენინგო საქმიანობების ანალიზის შესახებ, მაგალითად, ტრენინგის ჩატარების რეგიონის ან ***საკუთარი სამუშაო ძალის*** კატეგორიების მიხედვით, როდესაც მისი პროგრამები ასეთი ფაქტორებიდან გამომდინარე მნიშვნელოვნად განსხვავდება და ასეთი ინფორმაცია სასარგებლო იქნება ანგარიშების მომხმარებლებისთვის.

გმ 8. საწარმოს შეუძლია ტრენინგის შესახებ საჭირო ინფორმაცია ქვემოთ მოცემული ცხრილის გამოყენებით წარმოადგინოს:

ანტიკორუფციული და მექრთამეობის საწინააღმდეგო ტრენინგის საილუსტრაციო მაგალითი

20XY ფინანსური წლის განმავლობაში ABC საწარმომ რისკის ქვეშ მყოფი საკუთარი მომუშავეებისთვის ჩაატარა ტრენინგი პოლიტიკის საკითხებზე (იხილეთ, შენიშვნა x). რისკის ქვეშ მყოფი ფუნქციების შემსრულებელთათვის ეს ტრენინგი სავალდებულოა, თუმცა, ABC საწარმომ ნებაყოფლობითი ტრენინგი ხელმისაწვდომი გახადა საწარმოს სხვა საკუთარი მომუშავეებისთვისაც. ქვემოთ იხილეთ ტრენინგის დეტალები წლის განმავლობაში:

	რისკის ქვეშ მყოფი ფუნქციები	*ხელმძღვანელები*	ადმინისტრაცი-ული, მართვის და საზედამხედვე-ლო ორგანოები	*სხვა საკუთარი მომუშავეები*
ტრენინგის დაფარვის დონე				
სულ	*20,000*	*200*	*16*	*70,000*
სულ, ვინც ტრენინგში მიიღო მონაწილეობა	*19,500*	*150*	*8*	*5,000*
ტრენინგის მიწოდების მეთოდი და ხანგრძლივობა				
საკლასო ტრენინგი	*5 საათი*			
ტრენინგი ელექტრონული სახით	*1 საათი*	*2 საათი*	*1 საათი*	
ნებაყოფლობითი ელექტრონული ტრენინგი				*1 საათი*
სიხშირე				
რამდენად ხშირად არის ტრენინგი სავალდებულო	*ყოველწლიურად*	*ყოველწლიურად*	*ორ წელიწადში ერთხელ*	-
სატრენინგო საკითხები				
კორუფციის განმარტება	*X*	*X*	*X*	*X*
პოლიტიკა	*X*	*X*	*X*	*X*
ეჭვის მიტანის/გამოვლენის პროცედურები	*X*	*X*		
სხვა	*X*			

<u>მდგრადობის მაჩვენებლები და სამიზნე მაჩვენებლები</u>

<u>გამჟღავნების მოთხოვნა G1-5 – პოლიტიკური გავლენა და ლობისტური საქმიანობები</u>

გმ 9. ამ სტანდარტის მიზნებისთვის, „პოლიტიკური შეწირულობა“ გულისხმობს ფინანსური ან არაფულადი სახით მხარდაჭერას, რომელსაც საწარმო უშუალოდ ახორციელებს პოლიტიკური პარტიების, მათ არჩეული წარმომადგენლების ან პოლიტიკური თანამდებობის მაძიებელი პირების მიმართ. ფინანსური შეწირულობა შეიძლება მოიცავდეს დონაციებს, სესხებს, სპონსორობას, მომსახურებისთვის წინასწარ გადახდას, ფონდების მოზიდვის ღონისძიებებისთვის ბილეთების შეძენას და სხვა მსგავს პრაქტიკას. არაფულადი სახით შეწირულობა შეიძლება მოიცავდეს რეკლამირებას, ობიექტების გამოყენებას, დიზაინს და ბეჭდვას, აღჭურვილობის დონაციას, საბჭოს წევრობის უზრუნველყოფას, დასაქმებას ან საკონსულტაციო სამუშაოს არჩეული პოლიტიკოსებისთვის ან სახელისუფლებო თანამდებობის კანდიდატებისთვის.

გმ 10. „არაპირდაპირი პოლიტიკური შეწირულობა“ შეეხება ისეთ პოლიტიკურ შეწირულობას, რომელიც ხორციელდება ისეთი შუამავალი ორგანიზაციების მეშვეობით, როგორებიცაა ლობისტური ან საქველმოქმედო ორგანიზაციები, ან ისეთი ორგანიზაციების მხარდაჭერით, როგორებიცაა ისეთი ანალიტიკური ცენტრი ან სავაჭრო ასოციაცია, რომელიც დაკავშირებულია ან მხარს უჭერს კონკრეტულ პოლიტიკურ პარტიას ან პოლიტიკურ მიზნებს.

გმ 11. ამ სტანდარტის მიზნებისთვის „მსგავსი პოზიციის“ განსაზღვრისას, საწარმომ უნდა გაითვალისწინოს სხვადასხვა ფაქტორები, მათ შორის პასუხისმგებლობის დონე და განხორციელებული საქმიანობების მასშტაბი.

გმ 12. ლობირების ხარჯებთან დაკავშირებით, საწარმოს შეუძლია ფინანსური და არაფულადი სახით გაღებული შეწირულობების შესახებ წარმოადგინოს შემდეგი ინფორმაცია:

ა) ასეთი სახის შიდა და გარე ხარჯების ჯამური ფულადი ოდენობა; და

ბ) სულ ლობისტური ასოციაციების წევრობისთვის გადახდილი თანხა.

გმ 13. თუ საწარმო კანონით ვალდებულია იყოს სავაჭრო პალატის ან სხვა ორგანიზაციის წევრი, რომელიც მის ინტერესებს წარმოადგენს, მას შეუძლია გაამჟღავნოს ეს ფაქტი.

გმ 14. 29(გ) პუნქტით დადგენილი მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად საწარმომ უნდა გაითვალისწინოს შესაბამისობა საკუთარი არსებითი ზემოქმედების, რისკებისა და შესაძლებლობების შესახებ მის მიერ გაკეთებულ საჯარო განცხადებებსა და მის ***ლობისტურ საქმიანობებს*** შორის.

გმ 15. ასეთი სახით გამჟღავნებული ინფორმაციის მაგალითი შეიძლება ასე გამოიყურებოდეს:

პოლიტიკური ჩართულობის (მათ შორის ლობისტური საქმიანობების) საილუსტრაციო მაგალითი

20XY ფინანსურ წელს ABC საწარმო ჩართული იყო შემოთავაზებული XXX რეგულაციის ირგვლივ არსებულ საქმიანობაში. თუ აღნიშნული რეგულაცია არსებული ფორმით განხორციელდება, მას შეუძლია მნიშვნელოვანი უარყოფითი გავლენა მოახდინოს საწარმოს ბიზნესმოდელზე. ABC საწარმოს შეხედულებით, მიუხედავად იმისა, რომ შემოთავაზებული რეგულაცია გარკვეულწილად გააუმჯობესებს მარეგულირებელ რეჟიმს, როგორიცაა xxx, მისი ამჟამინდელი ფორმით განხორციელებისას xxx-თან დაკავშირებული ნაკლოვანებები სავარაუდო სარგებელს გადაწონის. ABC საწარმო და მისი თანამოაზრეები აგრძელებენ XXX-თან (მარეგულირებელთან) მუშაობას აღნიშნულ ნაკლოვანებებსა და სარგებელს შორის ბალანსის გასაუმჯობესებლად.

ABC საწარმო ასევე მხარს უჭერდა QRP პოლიტიკურ პარტიას X ქვეყანაში და EFG პარტიას Y ქვეყანაში, რადგანაც ორივე ... . ABC საწარმო რეგისტრირებულია ადგილობრივ გამჭვირვალობის რეესტრში ანუ XYZ-ში, სადაც მისი სარეგისტრაციო ნომერია 987234.

თანხები ათას ლარში

	2023	***2022 (ექვემდებარება ცვლილებას)***
გაღებული პოლიტიკური დაფინანსება	*100*	
QRP პარტიის დაფინანსება	*75*	
EFG პარტიის დაფინანსება	*25*	
	100	

გამჟღავნების მოთხოვნა G1-6 – გადახდების პრაქტიკა

გმ 16. ზოგიერთ შემთხვევაში, საწარმოს სახელშეკრულებო გადახდის სტანდარტული პირობები შეიძლება მნიშვნელოვნად განსხვავდებოდეს ***მომწოდებლის*** ქვეყნის ან ტიპის მიხედვით. ასეთ შემთხვევებში, ინფორმაცია სტანდარტული პირობების შესახებ მომწოდებლების ძირითადი კატეგორიების ან ქვეყნის ან გეოგრაფიული რეგიონის მიხედვით შეიძლება 33(ბ) პუნქტის შესაბამისად გასამჟღავნებელი ინფორმაციის ასახსნელად დამატებითი კონტექსტური ინფორმაციის მაგალითს წარმოადგენდეს.

გმ 17. სტანდარტული სახელშეკრულებო პირობების აღწერის შესახებ 33(ბ) პუნქტის შესაბამისად გასამჟღავნებელი ინფორმაციის მაგალითი შეიძლება ასე გამოიყურებოდეს:

ABC საწარმოს სახელშეკრულებო გადახდის სტანდარტული პირობების შესაბამისად ბითუმად მოვაჭრეების მიმართ გადახდები ხორციელდება ინვოისის მიღებისას, რომელიც მოიცავს საწარმოს წლიური ინვოისების დაახლოებით 80%-ს, მისი ღირებულების მიხედვით. ინვოისის

მიღებიდან 30 დღის განმავლობაში საწარმოს მიერ მიღებული მომსახურების გადახდები წარმოადგენს წლიური ინვოისების დაახლოებით 5%. დარჩენილი ინვოისების გადახდა ხდება მათი მიღებიდან 60 დღის განმავლობაში, გარდა X ქვეყნიდან მიღებული ინვოისებისა, რომელთა გადახდა, ბაზრის სტანდარტების შესაბამისად, ხორციელდება მისი მიღებიდან 90 დღის განმავლობაში.